

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 235

30 დეკემბერი 2016 წელი

ქალაქი ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლისა 1 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველის ელისო ქაროსანიძის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ქალაქ ქუთაისის მერის 2015 წლის 12 ივნისის #3 138 ბრძანება; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412678348; ტელ: 0431240508) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ სს „სილქნეტი“ იმერეთის სერვის ცენტრების უფროსი ირინე ონიანის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვადებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ ადგილობრივი სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა, ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1376 (ათას სამას სამოცდათექვსმეტი) ლარს. დღგ-ს ჩათვლით

1. CPV 64200000-----800 (რეაგისი) ლარი.

2. CPV 72400000-----576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარი.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 „შემსყიდველის“ მხრიდან „მიმწოდებლის“ მიერ მოსაწოდებელი, ან მოწოდებულ მომსახურებაზე კონტროლს განახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ შესყიდვების მთავარი სპეციალისტი ლევან ხვადაგიანი.

2.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მიწოდების პროცესში მიმწოდებელი და შემსყიდველი საქორების შემთხვევაში განიხილავენ მიწოდებისათვის გაწევის ვადაში ცვლილებების შეტანის საკითხს.

## 3. გარანტია

3.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება გაწეული იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით, ხელშეკრულების შესაბამისად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას გადახედოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს.

## 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველი „საანგარიშო თვისმომდევნო“ თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისა „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის (ანგარიშ-ფაქტურა) საფუძველზე.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უხსალო

## 5. მომსახურების მიწოდების ვადები

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შეუსრულოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

5.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების მხარეთა მიერ მასზედ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით. მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 ანვრის ჩათვლით.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში. გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის დაგვიანებით შესრულებისათვის, მას (მიმწოდებელს) დაეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 % ოდენობით.

8.1.2 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგამსატებლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 % ოდენობით.

8.1.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.1.4 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა თვეში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა. წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისაუნდა გაუგზავნოს მთლიან მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით ვასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებინა ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

<p>აიპ "ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება" ს/კ412678348;</p> <p>იურიდ. მის: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.#3;</p> <p>ტელეფონი (0431)24 05 08</p> <p>ბანკი: საქართველოს ბანკი TRESGE22 სახაზინო კოდი (742967519)</p>	<p>სს „სილენტი“ ს/კ 204566978</p> <p>მის: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილი ქ. #96</p> <p>სს „საქართველოს ბანკი“ კოდი BAGAGE22 GE41BG000000878415000</p>
<p>აიპ "ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების"</p> <p>მმართველი</p>  <p>/ვილისო ქაროსანიძე/</p>	<p>იმერეთის სტრუქტურის ცენტრის უფროსი</p>  <p>/ირინე ონიანი/</p>